— ଏହା,—ମିଶ୍ରମ ସିକ୍ଷେପିଲମା, —ଫ୍ରେବେ ଏହି ମାନ୍ଦ୍ରିପ୍ରାଣି ଏହି-  
ଅଗାନ୍ଧି, ମାନିବ ଯାତ ମାର୍କପ୍ରାଣି ଏହି ମାନ୍ଦ୍ରିପ୍ରାଚୀ.

ମାନ୍ଦ୍ରିମ ସିକ୍ଷେପିତ୍ତ ଉତ୍ତରି ମାନ୍ଦ୍ରିମ କ୍ଷେତ୍ର ଦା ତୀରିଲାବିଲା:

— ଏହି ମାନ୍ଦ୍ରିପ୍ରାଚୀ, ଏହା!

ଗାନ୍ଧୀଙ୍କ ସିକ୍ଷେପିଲିକ, ଅନ୍ତର ଶେବ କ୍ଷେତ୍ର ଦା ତୀରିଶି ଶେବିଲାବିଲା.  
ତୁମିଲାନ ବୋମରାଦ ଗାମନିବାରିଲା. ଦାୟରିର ବ୍ୟାଳିଶ ଦା କାହିଁକି କାହିଁକି  
କ୍ଷେପିଦି ଗାନ୍ଧୀଙ୍କ ଅନ୍ତରିକ୍ଷରେ ଅନ୍ତରିକ୍ଷରେ ଅନ୍ତରିକ୍ଷରେ ଅନ୍ତରିକ୍ଷରେ  
ଅନ୍ତରିକ୍ଷରେ.

ଶେବରିତ୍ତିନିଲା ସିକ୍ଷେପିତ୍ତ, ତାତ୍ପରୀ ଫୁଲିଫୁଲି ତୀରିଯାରୀ ଦା ଶେବ-  
ପ୍ରାଚୀରୀ:

— ଏହି, ରା ଶ୍ରୀନିବାସ ବାର! ନିଲାକାନ୍ତି ସିମିଲିନ ମାନ୍ଦ୍ରିପ୍ରାଚୀ,  
ମାନିବାନିଲା ଗ୍ରାମିତା! ଯେତେବେଳେ ଉତ୍ତରିମାଲାକାନ୍ତି ଶେବିଲାବିଲା!  
ରା ଗନ୍ଧା ଏହି ତୀରି ଦା କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି  
କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି



მაგრამ სიკვდილი თავისის არ იშლიდა:

— უეხს არ მოვიცელი, მანამ არ მომცემ ერთ მარცვალს.

— შენ ჩემგან ვერას გაიტან! — შეუტია სიძუნწემ.

გაეცინა სიკვდილს, დაუსტევინა და მეყვესეულიდ საიდგანლაპ ერთი დედაკაცი ჩამოფრინდა. შუბლზედ „პირი“ ეწერა, გარს დამშეული ყვავ-ყორანი დასტრიალებდა. გადაავლო დედაკაცი მთაბარს თავისი ფრთები და ერთიანად ამოსწყვეტია მუშები.

სიძუნწე გაგიქცებული საშინელი ყვირილით მიჩოდა ტყესკენ. სიკვდილი-კი თავის წითელ რაშს მოახტა და ქარის უმაღლ გაქრა.

ჰომილგან გველები წამოვიდნენ სისინით და საზიზღარი შემზარევი ქვემდრომნი. ფოხილად მოცუნ ულებდნენ ტურები, თავი მაღლა აელოთ და ჰაერს სუნავდნენ.

„ტირდა ქაბუკი მეფე, იკითხა:

— ვინ იყო ეს ხალხი, ან აქ რას ეძებდა?

უკანით ვიღასიც ხმა შემოვსმა:

— ლალს ეძებდნენ ქაბუკი მეფის გვირგვინისთვის.

ლახვარივით ეცა გულს ეს სიტყვა, მიბრუნდა და ვიღაც მგზავრი დაინახა, — ხელში ვერცხლის სარკე ეჭირა.

უერი ეცვალა მეფეს და ჰკითხა:

— ვინ ქაბუკი მეფისთვის?

— ამ სარკეში ჩაიხდე და ნახვ, უპახუხა მგზავრმა.

ჩაიხდა სარკეში, თავისთავი დაინახა და შეჰყვირა...

\* \* \*

ოთახს კაშკაში გაუდიოდა. ბალში ხეებზედ ჩიტები გალობდნენ. კარის კაცნი და უწარჩინებულები დიდებულნი შევიდნენ, მოწიწებით სალაში უძღვნეს და ოქროს ქსოვილი სამოსი მიართვეს.

— გაიტანეთ ეგ ტანსაცმელი, უბრძანა მეფემ, — ეგ ჩემთვის საჭირო არ არის! — კარის კაცნი შეწუხდნენ. ზოგმა იფიქრა, — გვეხუმრებათ, და გალიმებას ეცადნენ.

ମାଗ୍ରାମ ପ୍ରଳାପରେ ନିର୍ମାଣ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛନ୍ତି।

— გაიტანეთ! ნულარ დამთანხევებთ! თუმცა დღეს ჩემი  
დაგვირგვინების დღე არის, მაგრამ მე მავათ არ ჩავიცვამ! არ  
ჩავიცვამ, რადგან უბედურების ნაქსოვია და ტანჯვის შეკერი-  
ლი! ამ ლალის გულში სისხლია და ამ მარგალიტში სიკედილი!

მოჰყვა და სამიცე სიზმარი უამბო. მოისმინეს კარის კაცთ, ერთმანერთს გადახედეს და წიგბუტბუტეს:

— სწორედ შეიშალა, თორემ სიზმარი სიზმარია და სხვა  
არაფერი! ცხადი ხომ არ არის, რომ მნიშვნელობა ჰქონდეს  
რამე. ან რა ჩეცნი საჭმეა რაღაც ხალხი, რომელიც ჩვენ-  
თის მუშაობს! მაში ღვინოს ნულარი ვსეამო და პურს ნუ-  
ლარი ვკვამო, რადგან მებალე და მხვნელმოესველი უნდა გვი-  
ბრიოლებოდეს!

მაშინ წინ წირსლება უხუცესი კარისკაცოვანი და მოახერხო:

გადაპირება ჰაბუკმა შეფერი და ჰერთხა:

— ნუ თუ მეფედ მარტო მაშინ მიცნობენ, როდესაც  
გარევან დიდებით შემოსილს მნახვენ?

— უმაგისოდ ხალხი ვერ იცნობს თქვენს უდიდებულე-  
სობას.

— მე კი მევონა, რომ მარტო შეფური გარევნობაც  
იყმარებდა,—მიუგო შეფერ... შეიძლება მართალს ამბობდეთ,  
მაგრამ მე კი მაინც არ ჩაიცემ ამ სამოსელს და არ დაი-  
ხურდ ამ გვირგვინს. მინდა, ისე გავიდე ამ სისახლიდეან. რო-  
გორც შემოვედო.

კველანი დაითხოვა გარდა ერთი ყრმისა, — ერთი წლით  
პირის იყო მეტებედ და მეტობრიდ ჰყავდა შეფისებული.



განცემული შესტეროდა ყრმა. მერჩე ძალაშემსახური  
მოახსენა:

— წამოსახამი და სკიპტრი საგანგებო გახლავთ, თქვე-  
ნო უდიდებულესობავ, მაგრამ გვირგვინი რომ არა გაქვთ?

გადასწრედო ჭაბუკი მეფე ეცდელზედ ამოყვანილს ასკილს,  
ტატი მოსტეხა, მოჰყევა, გვირგვინად დასწნა და თავზედ  
დაიხურა.

— ეგეც ჩემი გვირგვინი!

და ასრუ შემოსილი გვიდა სასახლის დიდ დარბაზში,  
სადაც დიდებულნი ელოდნენ.

რომ დაინახეს, ჩიოცინეს. ზოგმა მოახსენა:

— თქვენი უდიდებულესობავ! ხალხი მეფეს ელის და  
მოხვევარს-კი ნახავს.

ზოგნი-კი აღშეფოთდნენ და სოქვეს:

— ხელივთ, როგორ არცხვენს მეფის გვირგვინს?! ნუ თუ  
ეს უნდა იყოს ჩვენი მბრძანებელი?

მაგრამ პასუხი არიების ალირია და თავის გზას გაუდგა.  
ჩიორი განიერი პორტირის საფეხურები კიბისა, გვიდა სასა-  
ხლიდგან, შეჯდა თავის მერანზედ და ტაძრისკენ გასწია.  
ყრმა მეგობარი ფეხით მისდევდა.

ხალხი იცინოდა:

შექხედეთ! შექხედეთ, მეფის მასხარა მოდის!

ჭაბუკმა ცხენი შეაყენა და უთხრა:

— არა, მე მეფე ვარ.

და სამიერ სიზმარი უამბო ხალხს.

ვიღაც გამოვიდა მშენელთავან და მოახსენა:

— იქნება ირ უწყით, თქვენი უდიდებულესობავ, რომ  
მდიდრის ფუფუნება სულს უდგამს ლარიბს? იქნება ირ უწყით,  
რომ დიდ კაცური ბედოვლათობა გვიხსნის ჩვენ სიშილისაგან?  
თქვენი ბიწიერება დლიური მანანაა ჩვენთვის. ძნელია გულ-  
გაქვავებულ პატრონთან მუშაობა, მაგრამ უფრო ძნელი ის  
არის, როცა საქმეს ვეღარსად ვშოვობთ. იქნება გგონით,  
ღმერთი ქადა ნაზუქს გვიყრიდეს ციდგან? ჩაშ დაბრუნდით

თქვენს სისახლეში, შეიმოსეთ თქვენი მეფეური ტანისამასდაც და სამყაულები. სად შეგიძლიანთ თქვენ... სად თქვენ და სად ლარიბი ხალხის გაჭირება!

— განა ძმები არ აჩიან მდიდარი და ლარიბი? — ჰეთხა მეფემ.

— დიახ, ძმები გახლიავან: მდიდარს კაენი ჰქეიან...

მეფეს თვალი ცრემლით აევსო და ისევ გზას გაუდგა. ხალხი დრტვინებდა. მისი მხლებელი ყრმა შეშინდა და ალარ მიშეკვა.

ტაძართან მიიღიდა მეფე, უნდოდა შესულიყო, მაგრამ ჯარის კაცნი დაუდგნენ წინ; შებები მოუღერეს და შეუტიეს:

— ეს ვინდა მოეთრევა! .. აქ მეფის მეტი ვერავინ შევა!

— მე ვარ მეფე! — შეშეკვირა კაბუკმა, მისწივ-მოსწია შებები და ტაძარში შევიდა.

მოხუცებული ეპისკოპოზი განცემურებული დარჩა, მეცხვარულად შემოსილი მეფე რომ დაინახა. წამოდგა და უსაყველურა:

— ეგ არის, შეილო, შენი მეფეური შორთულობა?! რა გვირგვინი გიკურთხო, ან რა სკიპტრა? კეშმარიტად, დლევან-დელი დლედლედ დრდებისა უნდა ყოფილიყო შენთვის და შენ-კი შენს დასამცრობად გარდაგიქმნია იგი.

— ნუ თუ დიდებამ უნდა შეიმოსოს გაჭირების და სევდის ნაშრომი? — ჰეთხა მეფემ და თავისი სიზმრები უამბო.

მოისმინა ეპისკოპოზი, წარბი შეიქმუხვნა და უთხრა:

— უკვე ლრმად მოხუცებული გახლიავან და ვიცი, რომ ქვეყნაზედ მრავალი სიძაღლობა ხდება. მთიდგან მეცნიერები ჩიმოდიან, ბავშვებს იტაცებენ და უცხოეთში ჰყიდიან. ლომი იმაღლება უდაბნოს ქვიშაში, ქარავანს ელის და, რა დანახავს, მიეპარება და ერთი ნახტომით აუკვებს კაცსაც და აქლემსაც. იდამიანთაგან განდევნილნი ცხოვრობენ კეთროვანნი, უდაბურ ილავს, უპატრონონი, განუკითხავნი. კარ და კარ დაწიალებენ მთხოვარნი და ხშირად ძალლს შენატრიან.

ნუ თუ შენ გინდა ყოველივე გამოსცვილო? ნებას კუთხით გამოსცვილო? კუთხოვანს შენთან ერთად შენს ლოგინში ჩაწევს? შენთან ერთად შენს სუფრაზედ მოხვეოს პურს აქმევ? ღმერთმა გააჩინა გაქირება და ნუ თუ ღმერთი შენზედ უბრძნესი არა გვინია? დაბრუნდი, შვილო, სასახლეში, შენი დიდების შესაფერად ჩაიცვი და მაშინ გიკურთხებ ოქროს გვირგვინს და მარგალიტით მოკედილს სკიპტრას დაგილოცავ. ეგ სიზმარები კი დაივიწყე. ტვირთი ამა ქვეყნისა მეტად მძიმეა ერთი კაცისთვის და ტანჯვა ხალხისა აუტანელი ერთი გულისთვის.

— მაგას მიქალაგებ ამ ტაძარში? — გიკეირვა მეფემ, გვერდით გაუარა, ავიდა საკურთხეველის საფეხურებზე და იქსო მაცხოვარის ხატის ჭინ დადგა.

ხელში იღლო ხაოცარი ხელოვნებით გაკეთებული ბარიმ-ფეშეუმი, მუხლი მოიყარა, თვით დაღუნი და ლოცვა დაიწყო. მღვდლები ძვირფას თვალ-მარგალიტით დამშვენებულ შესამოსით ნელნელა გადიოდნენ საკურთხეველიდგან.

რაღაც ხმაურობა გისმა წუჩაში. ეკლესიაში დიდებული შემოცეიდნენ, — ხმალ ამოღებულნი, მუხარიდებით და ელვარე ფოლადის ფარებით.

— სად არის მესიზმარე?! — ყვიროდნენ დიდებულნი, — სად არის ჩვენი მთხვეობა შეუე?! სად არის უგუნური, მეფის გვირგვინის შეურაცმყოფელი?! ჩვენ ვიცით, როგორც გავუსწორდებით! ეგ უნდა იყოს ჩვენი მბრძანებელი?

მეფემ კვლევ თვით დაღუნა და ლოცვა გინაგრძო. და როდესაც გაათვა, წიმიდგა, სევდიანი თვალი გადაივლი დიდებულთ და ტაძარი უცბად მზის სხივით გაჩაღდა. მზის სხივებმა მოუქსოვეს ჭაბუქს მეფეს უწინდელ წედ უკეთესი ოქროს სამოსი. მეტხარული ჩობახი გაუნედლეს და წვრილი, უმტკერო თოვლივით თეთრი ყვაველით შეუმოსეს; შებლზედ უკვე დამჭენარ ასკილის გვირგვინს მაისის ვარდები შევსხეს. ობოლ მარგალიტზედ თეთრი იყო ჩობახზედ აღმოცენებული ყვავილი და ფოთლები ვერცხლისა ესხა, უძვირფასეს ლალზედ წითე, ლი იყო გვირგვინის ვარდი და ფოთლები ოქროსი ჰქონდა.

იდგა მეფურად შემოსილი და გაიხსნა კარი ლარწვეულები  
და ბროლის კიდობანს სხივი დაადგა. იდგა მეფურად შემოსილი  
და დიდება ღვთისა სუვერენი ტაძრისა შინა და წმიდა-  
თა ხატები ინძრევოდნენ თავიანთ ბაქნებში. იდგა მეფურად  
შემოსილი და ისმოდა სადღესასწაულო ხმა თარგანისა, ხაყ-  
ვირისა და ბავშვთ გალოობისა.


მუხლი მოიყარა შემკრთალმა ხილხმა. დიდებულთ ხმალი ჩააგეს და თავი მოიხარეს მეტის წინაშე. ფერმიხდოლს ეპისკოპოზს ხელვბი უთროლა.

— ჩემზედ უძლიერესმა მოგაინკა და გიყურთხა გვირვეინ! უცყვეირა ეპისკოპოზმა და მუხლი მოიყარა შეფის წინაშე.

გამოიიდა ტაძრიდებან მეფე, ხალხში გითარა და სასახლეში აბრძანდა.

შიდოვადა და ერთმა ვერავინ გაბედა ზედ შეეხედნა, რად-  
გან ანგელოზის სახე ჰქონდა კაბუკ მეფეს,


### o. მაჭავარითი.



# საპარაზელო

მარიამი საურის პოლო

(დასახრული)



აენი მასთან მისულს გიორგი მეფეს დიდის პატივით მოეცყრი. იმ დროს სპარსეთი ძალიან შეწუხებული იყო ბელურჯებისაგან, რომელნიც იკლებდენ სპარსეთის ილმოსხელეთის სამძღვრებს. მათ წინააღმდეგ ყაენმა გაგზავნა ქართველების რაზმიც, რომლის წინამძღოლობა ჩააბარო გიორგი მეფეს. ამ მშენ დიდიდ ისახელეს თავი ქართველებმაც და თვით გიორგი მეფემაც, რისთვისაც ყაენი ძალიან მწყალობელი შეიქმნა ქართველებისა. გიორგის მშენ ლევანის მისცა ერანის მსაჯულთუხუცესობა, მის ძმისწულს ჟიხოსროს ისპანის ტარულობა. \*) ლევანის თხოვნით ყაენმა მოსწერა ერეკლე მეფეს, რომ მისი შეიღლი ვახტანგ პატონიშვილი დაებრუნებინა იმერეთითან ქართლს და მიეცა მისი მამული (1701 წ.) ბოლოს (1703 წ.) გიორგი მეფეს მის სამსახურის ჯილდოდ ყაენმა მისცა ქართლის მეფობა და ერანის სპასალარობა, ხოლო ერეკლე მეფეს ქართლის მაგიდრ მისცა კახეთი და თავის ყულიარალსობა\*\*) და დაიბარა სპარსეთს.

\*) ტარულა — ქალაქის უფროსი.

\*\*) კულარალახი — გვარდიის უფროსი.



მართალია, გიორგის ქართლის მეფობა დაუბრუნა გამგებით მაგრამ გაშვებით კი არ გაუშვა. გიორგის თხოვნით, მის მაგიერ ქართლის გამგედ დანიშნა ვახტანგ ბატონიშვილი. რაღაც ყავნმა არც მისთან მისული ერეკლე მეფე გამოუშვა, ამიტომ, მის თხოვნით კახეთის გამგედ მის მაგიერ დანიშნა მის შვილი დავითი.

1681 წ. რუსეთს წასულმა არჩილ მეფემ მიაწია მოსკოვს 1685 წ. აქ მან სოხოვა რუსეთის მთავრობას, რომ შემწეობა მიეცათ მისთვის ჯარით იმერეთის ტახტის დასაქერად. სამს წელიწადს ელოდა პასუხს. 1688 წ. რუს-ხელმწიფებმა გამოუცხადეს, რომ ოსმალებთან ომის გამო შეუძლებელია საქართველოს საქმეებში გვევრიოთო. ასეთის პასუხის მაღლების შემდეგ არჩილი წამოვიდა საქართველოს და მოვიდა თუშეთს (1688 წ.), ხოლო აქეთგან რაჭას (1689 წ.). აქ იგი შეუდგა შეცადინებას, რომ იმერეთის ტახტი დაექირა. რაკი რუსეთის იმედი დაჯარება, ახლა შემწეობისთვის მიმართა ოსმალეთს ყირიმის ხანის საშუალებით. ყირიმის ხანმაც რომ ვერა გაარიგა რა, არჩილმა 1690 წ. ისევ რუსეთს შიმართა შველის თხოვნით. ხოლო რაღაც შველის მიღების დიდი იმედი არა ჰქონდა, ხონთქართინიც გაგზავნა მოციქული და დაპირდა 20 წლის გადუხდელის ხარჯის გაშენდას, თუ იმერეთის მეფედ სცნობდა. ხონთქარმა ასეთის თხოვნისა და დაპირების გამო გამოგზავნა კაცი იმის გასაგებად უნდოდათ იმერლებს არჩილი მეფედ თუ არა. ხონთქრის კაცი დაჩმუნდა, რომ არჩილი უნდოდათ და შეატყობინა ხონთქარს. მაშინ იშის ბრძანებით შემოვიდა იმერეთს არხერემის ფაშა ჯარით. ილექსანდრე მეფე გადავიდა ქართლს, ხოლო არჩილ მეფე დიგორითგან მიეციდა ჭუთისს და დაიჭირა ტახტი (1690 წ.).

არც ამ გზობით დარჩი არჩილი ბევრს ხანს იმერეთის ტახტზე. და პირველად გადავიდა დიდებულები იშით, რომ ჩამოართვა არეულობის დროს ძალით დაკერილი სხვის მამულები და დაუბრუნა თავიანთ პატრიონებს. მათ წყვნებულმა განა ძალად სხვის მამულის დამკერმა მძლივრ-

მა დიდებულებმა, მოინდომეს ალექსანდრე მეფის უკან დაბრუნება და ორჩილის განდევნა. მეორედ, ორჩილის ძალიან გაუმჯელდა თავის აღთქმის ასრულება ოსმალეთის მიმართ 20 წლის ხარჯის გადახდის შესახებ. საქირო ფულის საშოვ-ვნელიდ მიმართა რუს—ხელმწიფებს (1691 წ.). მაგრამ იმათგან ორაფერი მოუვიდა-რა. მესამედ, ერეკლე მეფის და სმენით სპარსეთის ყაენმა შაჰ-სულეიმანმა მოსთხოვა ხონ-თქარის, რომ მისი ქვეშევრდომი მეფები გიორგი და ორ ჩილი მისთვის მიეცა. ყველა ამ მიზეზებისა გამო ხონთქარმა ბრძანება გასცა, რომ ორჩილისთვის ჩამოერთმიათ იმერეთის ტახტი და გაემეფებინათ ისევ ალექსანდრე. ამ ამბის შემტკიცებმა ორჩილმა ხონთქარის საწინააშდევებოდ მოინდომა ქუთაისის ციხითვან თასმითა შეციხოვნების განდევნა. ამ ახ-რით ორჩილი მიადგა ციხეს, მაგრამ ვერ აიღო, რადგან გიორგი ლიპარტიანმა ღალატით შეციხოვნებს სურსათი მიაწოდა მალე იმერეთში შემოვიდა ახალციხის ფაშა, რომელსაც თან მოჰყვედა ალექსანდრე მეფე. დიდებულები მიეცენენ ფაშას და ალექსანდრეს. ორჩილი გიქცა ქუთაისითვან რაჭის, ხოლო ალექსანდრემ დაიკირა ტახტი (1691.).

ალექსანდრე მეფეს ორაფრად ავდებლნენ მძღავრი თავადები და როგორც უნდოდათ ისე იქცეოდნენ. გიორგი ლიპარტიანმა განაძო თდიშითვან ლევან დადიანი და თითონ გამთავრდა მანვე დაიკირა ლეჩუმი და განავებდა როგორც თავის სამულობელოს. გიორგი აბაშიძემ მიათხოვა, თავის ასული თამარი ალექსანდრე მეფეს და სამეფოს მართვა-გამგეობაში უპირატესი ადგილი დაიკირა.

ორჩილმა კიდევ გამართა მოლაპარაკება იმერეთის დიდებულებთან, რომ დაებრუნებინათ ტახტი. მისი გამეფება მოინდომა თხით დედოფალმა და მისმა მამამ გიორგიმ, რადგან დედოფალს სძულდა ალექსანდრე და უნდოდა ორჩილ მეფის ძმა, ახლად დაქვრივებული გიორგი მეფე, შეერთო. აბაშიძემ დაიყოლია სხვა თავადებიც ალექსანდრე მეფის წინააშდევ, შეიძყრეს იგი და გაუგზავნეს ქართლს გიორგი მეფეს, ხოლო



არჩილი შინწვეის და გაამეცეს (1695. წ). გიორგი მეტეხის ალექსანდრე მეფეს შორის ისე დიდი იყო მტრობა და სიძულვილი, რომ, ჩაიგდო თუ არა ხელთა, გიორგი მეფემ მოაბთვევინა ალექსანდრე მეფე რუსში.

მაღლ თვით გიორგი შეფეც გადავიდა იმერეთს ქართლი-  
თვან გაძვებული. აბაშიძემ წინადადება მისცა, შეერთო მის  
ქალი თამაზ დედოფალი და დაეკირა იმერეთის ტახტი. გიორგი  
შეფეც უარპყო წინადადება არჩილის ხილით. მაშინ აბა-  
შიძემ თვით არჩილს სიხოვა, რომ შეერთო მის ქალი. არ-  
ჩილმაც უარპყო ეს წინადადება, რადგან ცოლიანი იყო, ხო-  
ლო, რომ არ გადაემტერებინა აბაშიძე დაპპირდა, შვილს და-  
ვიბარებ რუსეთითვან და იმას შევრთავ შენს ქალსაო. მაგ-  
რამ არჩილის შეილის მისვლა გვიანდებოდა, აბაშიძეს და  
მის ქალს კი უნდოდათ, რომ ისინი ყოფილიყვნენ ტახტის  
მფლობელები. იმიტომ აბაშიძემ ახლა არჩია თავის ქალი გიორ-  
გი გოჩისათვის მიეთხოვებინა და კიდეც გაემცევებინა რო-  
გორც ბაგრატიონი. მას მიემხრო ოდიშის მთავარი გიორგი  
ლიპარტიონი. აბაშიძემ შეერთო თავის ქალი გიორგი გოჩის  
და გამოიაქადა შეფეც (1696). არჩილი კი წავიდა იმერეთი-  
თვან დვალეთს იმ ვანძრახვით, რომ რუსეთისკენ გამგზავრე-  
ბულიყო.

ອັນດີບີຕ ອົກສິລະມືດ ອົມງູຈ ດັບຕຸລາ ຕວງ, ຮຸ່ວມ ມີລົງ ສິນ ປົນ  
ນາມລູງຂອງ ສູງອິນ ອົບມາດູງຕົກ ບ່ອນຕັກເກົ້າ. ອີນ ດັກມານງົບອີນ  
ຫົວໜ້າປຸກທີ່ ຖຸ້າໄສ ສູງມາໂຮງ ອົມງູຈ ຕົກ, ຕານ ມານວິຊານຳ ອົງກສິລະມືດ-

დრე მეფის შეირთვის სკოლი სკომონი, რომელიც მანამდე ერეკლე უნიტარე ფეხსან იყო, და დასვა მეფედ (1698 წ.). ორჩილი წევიდა დეალეთს, იქ დაპყო იმ ზამთარს და გაზიაფხულზე 1699 წლის წევიდა რუსეთს.


გიორგი აბაშიძემ მოინდომა სკომონ მეფეც ხელთ ჩივილი და ამიტომ შერთო თავისი ასული ანიკა, რომელიც იმ შემთხვევისთვის გააშორა მის ქმარს ნასყიდა იაშვილს. ზართლაც მეფე მთლად აბაშიძის ხელში ჩავირდა და სამეფოს ეს დადგებული განაგებდა. სკომონ მეფემ ვერ იტანა აბაშიძის ბატონობა და გაიქცა ქართლს (1700 წ.).

უმეფოდ დარჩენილს იმერეთში გიორგი აბაშიძე იქცევდა როგორც ნამდვილი მეფე. მას მხორს უკერდა ოდიშის მთავარი გიორგი ლიპარტიანი, რომელიც აბაშიძემ შემწეობა ამოუჩინა განდგომილის ლეჩხუმელების დასამორჩილებლად. აბაშიძისაგან მეფის უფლების მოხვევების წინაამდეგნი შეიქნენ შოშიტა რაჭის ერისთავი და მამია გურიელი. აბაშიძე შევიდა რაჭაში, მოახმარა იქაურობა და დაიმორჩილა ერისთავი. მამია გურიელმა გამართა მოლაპარაკება ახალციხის ფაშასთან, რომ იმერეთში დაებრუნებინათ სკომონ მეფე. გურიაში მისულს სკომონს გურიელმა შერთო თავის და სკომონ მეფის წინაამდეგ აბაშიძემ და გიორგი ლიპარტიანმა ეს საშუალება იხმარეს. შეუთვალეს გურიელს, რომ მოეკლა სკომონ მეფე და თითონ გამეფებულიყო იმერეთში. ამ წინადადებამ მოხიბლა გურიელი და თანახმა შექმნა გამეცებულიყო, თუ სკომონ მეფეს აბაშიძე და ლიპარტიანი ვისმეს სხვის ხელით მოკლავდნენ. ამათ მაღლე მოაკვლევინეს ლალატო სკომონ მეფე და იმერეთის მეფედ გამოაცხადეს მამია გურიელი (1701 წ.).

მოთხოვნილი ამბები ნათლად ასურათებენ იმ სამწუხარო პოლიტიკურს მდგომარეობას, რომელშიაც იყო საქართველო მეწინდებრე საუკუნის ბოლოს კახეთი როგორც დამოუკიდებელი სამეფო იღარ არსებობდა. იმის მართავდენ სპარსეთის ყაენისაგან დაყენებული ხანები. ქართლში ყაენი ნიშ-

ნავდა მეფედ იმის ვინც მას მოეპრიანებოდა, დღეს ერთს კაშაშაუავა  
სულ სხვის. აქ კიდევ ჩანდა სურეილი ხალხის მხრით თავის  
დამოუკიდებლობის დაცვისა, მაგრამ სპარსეთის ძალა სჯობ-  
ნიდა ხალხს და თავის სურეილზე მართავდა ქვეყანას. მეფეე-  
ბი, სულით და გულით ქრისტიანები, მოვალენი ხდებოდნენ  
გარევნობით მავშედიანობა მიეღოთ ხოლმე და ამით აღეარ-  
ნათ თავიანთ პოლიტიკურს მორჩილებასთან ერთად ზნეობ-  
რივი დამორჩილებაც. იმერეთი, მართალია, უფრო დამოუკი-  
დებლი, იყო მაგრამ შინაური განხეთქილება და უნეურო-  
ბა იმ ქვეყანას ოსმალების საპარპაშოდ ხდიდა. მეფეები თით-  
ქმის ყოველს წელს იცვლებოდნენ, დიდებულები მხოლოდ  
თავიანთ პირიცს საჩვენებლობის ემსახურებოდნენ და არავი-  
თარს საშუალებას არ ერიდებოდნენ თავიანთ მიზნის მისაღ-  
წევად. ინტრიგა, დასმენა და ვერავომა ჩვეულებრივი საშუა-  
ლებანი იყვნენ წადილის შესასრულებლად.

ე. კარიჭაშვილი.



# ԹԱՐՈՂԵՑԻ ՅՈՒԺՈՒՄՆՑՈՒԹԵԱՆ



## Դյուրական Մյուս



Պարմս Շահը գանցութեղբար քուզելս Շյուրութի, և օտեղու մուշկը ըստու սեց ու սեց ճաշուղեցան գահը Շե ծյունեցան մուղեցուղու նույտոցեցենո. և օտեղութի հոմ մի ջահու ճանունուղեց Շյասիւղուու, և յուրած, հոմու մուժհամեցու. և օտեղու մահուլուց մուժհամեծ. մարպեցնա մուժությ հոմ եղու ճառագատ, Շյնունացու, հոմ Շոցնուցան հաղաւա և սեցըն, յև առու գուլո. միցահուա կուղու ունցուցեա մարպենու ու ուղուց տու ճաշուղեց: որու ճաշուղու նեցու, որու յեցու, ուցուցուղու ճաշուղու Շոցնու պալուրու. նեցու ճաշուղեցն յշուցեա մահչացնա ու մարպեցնա Շինցուղու, յեցու ճաշուղեցն մարչացնա ու մարպեցնա յուշունո. մարչացնա Շինցուղու յուրածուցեա մարչացնա յուշունո, մարպեցնա Շինցուղու մարպեցնա յուշունո. ուցուցուղու յուշունո ուրցու ունցու և օտեղուու, համդենսաւ Շինցուղու. վասելուցուցեա յուտ և Մշակուու վոյես, անց ճանցար ցորուանյաս. միցահուա մույլու գուլթի լայրեց որու ցորուանյա և օտեղու. և օտեղուու մուլցու ունցուցուան հոգուրու Շինցուղուցուան, ույ յուշունցուան. ոմ մուլցու, հոմլուցու ունցուցուան յուշունցուցուան, յշուցեա առուրուցու; եռլու ոմ մուլցու, հոմլուցու ունցու.

ბიან წინგულებიდან ეწოდებათ ვენები. არტერიებით სამშენებლი  
გულიდან მიღის ტანის სხვადასხვა ნაწილებისაკენ. ხოლო ვე-  
ნებით სისხლი გულში მოდის ტანის სხვა და სხვა ნაწილები-  
დან. ის არტერიას, რომელიც მარჯვენა კოჭობიდან იწყება,  
ეწოდება ფილტვის არტერია; ხოლო. ის არტერიას, რომე-  
ლიც მარტენი კოჭობიდან გამოდის, ეწოდება ორტა. პარ-  
ჯვენა წინგულს უერთდება ზედა და ქვედა ცალიერი ვენები;  
მარტენი წინგულს კი ფილტვის ვენები. ორტას მიაქვს ახა-  
ლი სისხლი ჩვენი ტანის ყველა ნაწილებთან. ორტა განიყო-  
ფება სხვადასხვა არტერიებად, ყოველ ამათგანი განიყოფება  
ხესავით რამოდენიმე არტერიად, თვითეული ამათგანი შედის  
ამ თუ იმ ორგანოში და აქ იყოფება მეტად წვრილ მილე-  
ბად, რომლების თვალით დანახვა ყოველად შეუძლებელია.  
ამ წვრილ არტერიებს ეწოდება ბეწვის მსგავსი მილები. ამ  
მილებიდან გამოუვინავს ახალ-ახალი სისხლი და რწყაცს ჩვე-  
ნი აგებულების ყოველ წვრილობან ნაწილს. სადღა იყრის თავს  
ეს სისხლი? იქ, საცა არტერიის ბეწვი-მილები თავდებიან, იწ-  
ყება ვენის მილები. არტერიას ბეწვ მილებიდან გამოსული  
სისხლი გადადის ვენის ბეწვ-მილებში ეს უკანასკნელი შეა-  
დგენერ ერთ ერთ წვრილ ვენას, წვრილი ვენები ერთდებიან და  
შეადგნენ მსხვილ ვენებს, ესენი კიდევ ერთდებიან და შეადგენერ  
ქვედა და ზედა ცალიერ ვენებს. ქვედა ცალიერი ვენა აგროვებს  
წამხდარ სისხლის ტანის ქვედა ნაწილიდან და მიაქვს მარჯვენა  
წინგულში; ზედა ცალიერი ვენა აგროვებს წამხდარ სისხლს ტა-  
ნის ზედა ნაწილიდან - თავიდან, კისრიდან და ხელებიდან, და  
მოაქვს მარჯვენა წინგულში. ამგვარად ახალი სისხლი გამოდის  
მარტენი კოჭობიდან და ორტას შემწეობით მიუდის მთელს  
ტანს, ქვედა და ზედა ცალიერი ვენებით ის უკვე წამხდარი  
და დაძვლებული ბაზუნდება მარჯვენა წინგულში ე. ი. სის-  
ხლი მოძრაობს მარტენი კოჭობიდან მარჯვენა წინგულისა-  
კენ. ამ გზას ეწოდება სისხლის მოძრაობის დიდი რეალი. რო-  
გორც უკვე დავინახეთ, მარჯვენა წინგულ უერთდება კარით  
მარჯვენა კოჭობს. ცალიერი ვენებიდან მოსული სისხლი მარ-


ჯევნა წინგულიდან ჩადის ამ კარის შემწეობით მარჯვენა წინგული კულტურული არტერიით მიდის ის ფილტვებში. ფილტვის არტერია ადის ფილტვებში და აქ იყოფა ურიცხვ წვრილმანებად, მარჯვენა კოკობიდან ამ მიღებში ამოდის სისალი, აქედან გადადის ვენის წერილ მიღებში; ეს მიღები შეადგენ ფილტვის ვენებს; სისხლი გადმოიდის მდევნებში და აქედან ჩადის მარტენა წინგულში, მარტენა წინგულიდან გადადას მარტენა კოკობში და აქედვინ ისევ აორტაში. ამგვარად სისხლს ჰქონია მეორე გზაც: მარჯვენა კოკობიდან მარტენა წინგულისაკენ. ამ გზას ეწოდება პატარა რკალი სისხლის მოძრაობისა. ამგვარად გულიდან გამოსული სისხლი დაუვლის გარშემო წევნს ტანს და ბრუნდება ისევ გულში. რა განსხვავებაა გარეგნობით არტერიისა და ვენის სისხლს შორის? არტერიის სისხლი არის მუქი, ალის ფერი, ვენისაკი ზეი. ყოველი აქ ნათქვამის გაგება უფრო ძლიერი იქნება, თუ მივმართავთ გულისა. და სისხლის მიღების სქემას.

წარმოვიდგინოთ, რომ ა არის მარჯვენა წინგული, ბ მარტენა, გ მარჯვენა კოკობი, დ მარტენა, ე კარებები წინგულებისა, კოკობებს შეუ, მე აორტა, რომელიც იყოფება ორ ნაწილად და მიღის ტანის ზედა და ქვედა ნაწილში; რო არის ტანის ზედა ნაწილი, ს ქვედა ნაწილი, ლ ქვედა ცალიერი ვენა, კ ზედა ცალიერი ვენა, მ ფილტვის არტერია, ეგ ფილტვები, პ ფილტვის ვენები, რომლებიც ადამიანს ოთხი იქცეს.

მარტენა კოკობიდან (დ) სისხლი აორტათი (ვ) მიდის ტანის ზედა (რ) და ქვედა (ს) ნაწილებში, აქედან ცალიერი ვენებით (ლ-კ) მოდის მარჯვენა წინგულში (ც); ეს არის დადი რკალი, მარჯვენა წინგულიდან მარჯვენა კარით (ე) სისხლი. ჩადის მარჯვენა კოკობში (გ), აქედან ფილტვის არტერიით (ზ) ადის ფილტვებში (ტ), საიდანც თავს იყრის ფილტვების ვენებში (პ) და ბრუნდება მარტენა წინგულში (ბ). აქედან მარტენა კარით (ე) ჩადის ისევ მარტენა კოკობში (დ) და განაგრძნობს ხელიხლად მოძრაობას აორტი. ეს არის პატარა რკალი.



ଗୁଣ ଶିଗନିତ ପାଲିଗ୍ରୀରୀଙ୍କ ଡା ମିସି କ୍ରେଡଲ୍‌ଏବି ହାରିମନ୍ଦିରାଳ୍ପିଟିକିରାଯାର୍ଜି  
ନେବ କ୍ରୁନ୍‌ଟେବସ. କ୍ରୁନ୍‌ଟେବସ ଉମତାବର୍କ୍ସ ଟ୍ରେନ୍‌ସ୍ଟେବସ ଲେ ଶ୍ରେଷ୍ଠଗ୍ରେନ୍ସ, ଲାମ୍




ମାତ୍ର ଶ୍ରେଷ୍ଠଲାଗାତ ଗ୍ରେଟି ମେରିନି ଗାଯୁମିଶ୍ଵାଦା ଡାମିକ୍‌ଲ୍ୟେବ୍ସା, ମେରିକ୍‌  
ମେରିନି କ୍ରେମିନିଲ୍ୟେବ୍ସା ଲା ଲାଗରିକ୍‌ଲ୍ୟେବ୍ସା. ଅମ୍ବାଶରୀ ଟ୍ରେନ୍‌ସ୍ଟେବସିଂ ଏରିଗାନ



გულის კედლებიც. რაღანაც გული წირმოადგენს ჰერცეფიანისა  
რომელსაც გარშემო ყოველის მხრიდან კუნთები იკრის,  
ცხადია, კუნთების ძალზე მოკუმშვით ეს პარტი ვიწროვდება,  
პატარავდება და სულაც დაიხურება, ხოლო კუნთების მოღუნე-  
ბისთანავე ისევ გაიშლება და გვინიერდება. იმ სწორედ  
ის კუნთების მოკუმშვა-მოღუნებაზე დამოკიდებული სისხლის  
მოძრაობაც.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ იწვევს გულის მოკუმ-  
შვა სისხლის მოძრაობას. მიემართოთ ისევ სურათს და წირ-  
მოვიდგინოთ, რომ წინგულები ა და ბ სავსე არიან სისხლით,  
კოჭობები გ და დ ცალიერი არიან და მოღუნებული, ა და ბ  
იყუმ ჩებიან და აწვებიან მათში დაგროვილ სისხლს. ცხადია,  
სისხლი უნდა წაეიდეს საითმე. სისხლს წინგულებიდან ორი  
გზა აქვს: ან უნდა დაბრუნდეს ფილტვის ვენებში ზედა ცა-  
ლიერ ვენაში, ან ორი კარებით (ეკ) ჩავიდეს კოჭობებში.  
პირველი გზით ე. ი. ვენებისაკენ სისხლი ვერ წავა, რაღან  
წინგულების მოკუმშვა და მოვიწროება იწყება სწორედ ზე-  
ვიდან, ვენების პირები თავიდანვე მოვიწროებულია, გარდა  
ამისა ვენების პირებში დატანებულია ენები (ქ და ყ), რომ-  
ლებიც მაშინადევ იხურებიან, როგორც კი სისხლი ვენებისა-  
კენ ვასწევს და იქითევ სისხლს არ უშვებენ: სისხლს წინ-  
გულებიდან დარჩენია ერთად ერთი გზა კოჭობებისაკენ. ამ  
გზაზე სისხლი არა ვითარი დაბრუნლება არ ელობება წინ, რად-  
განაც კოჭობები მოშვებული არიან; სისხლი თავისუფლად  
ჩამოდის კოჭობებში, კოჭობები ივსებიან და წინგულები კი  
ცალიერდებიან. შემდეგ იწყება წინგულების მოღუნება და  
კოჭობების მოკუმშვა, კოჭობების მოკუმშვის დროს მათი  
კედლები აწვებიან შიგ დაგროვილ სისხლს და ეს უკანასკნელი  
ან უკან უნდა დაბრუნდეს წინგულებში ეკ-ს გზით, ან აორ-  
ტში (კ) და ფილტვის არტერიაში (მ) უნდა ვავიდეს, როგორც  
კი ვასწევს სისხლი ეკ—სკენ. ამ კარებების ნაპირებში იმგვა-  
რად არიან დატანებული ენები (შ და წ), რომ სისხლის მიწო-



ლა მათ ჰეურაეს, კარებები ეე იხშობიან და იმ გვარატესტის მიზანის  
ხლს კოქიობებიდან წინგულებში გასავალი გზა ესპობა. ორ-  
ტაში და ფილტვებს არტერიაში გზა თავისუფალია, თუმცა აქაც  
არის ენები (ჩ და ნ), მაგრამ ესენი კოქიობების სისხლის მოწო-  
ლით უფრო იღებიან და იმგვარად სისხლი კოქიობებიდან თავი-  
სუფლად მოდის ორტაში და ფილტვების არტერიაში.

ივ. გომისრთელი.





## შოთა რუსთაველი და მისი ვეფხის ტყარსანი



ართ ულს მწერლობაში მოიპოვება ერთი თბზულება, რომლის სახელი დიდი და პატარას გავონილი აქვს. ეს თბზულება არის „ვეფხის ტყარსანი“, დაწერილი დიდებული პოეტის მიერ. ამ პოეტს სა-ქართველოს ერთ უწილეს სახელად შოთა რუსთაველს. უკვდავია „ვეფხის ტყარსანის“ დაწერი, თუმცა შეიდიამა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ, რაც ეს თბზულება უძღვნა პოეტმა თავის მფარველს, სახელოვანს დედოფლალს თამარს დროთა განმავლობაშ ვერ იმოშალა ხალხის მესიერებიდან გულს მისაწდომი შოთას ნარჩარი ლექსი და ნაზი გრძნობით შემკული „ვეფხის ტყარსანის“ მოთხოვბა.

შოთა რუსთაველი ცხოვრიბდა მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც საქართველოს განავებდა სახელგანჯემული, შექა-ვით შბრწყინვა და გლახაკთა შემწყალებელი თამარ დედოფლალი. იმბობენ, თვით შოთა რუსთაველი თამარის ხაზინადარი და სამეფო სასახლესთან დაახლოებული პირი იყოთ. ჩამოშევ-ლობით იგი იყო ზემო ქართლელი, რომელსაც ძევლად მე-სხეოს ინუ სამცხეს ეძიხდნენ. ამ აზრს ამყარებენ თვით შო-თას სიტყვებზე, რომელიც ჩართული აქვს „ვეფხის ტყარსანში“. იგი ამბობს ერთს აღვილას: „ვწერ ვინშე მესხი შელექსო“. უფრო დაახლოებით ილნიშნის პოეტი თავის ჩამოშევლობას,



“როდესაც განავრძობს და იტყვის: მე, რუსთველი, ვიქტო-  
ქემესა ბმილარი”. სჩინს, შოთა ყოფილი მცხვეთის იმ დაბლგან,  
რომელსაც მალაც ეწოდებოდა რუსთავი, ამალკის შარე-  
კენ. როგორც თითონ გადმოგვცეს, თამარ დედოფალმა უბ-  
რძნა ანუ შეცვევთა შოთას „ტყბილი ლექსეპის“ თვემა, შო-  
თამაც, როგორც კარგად განათლებულმა კაცმა, მეფის სურ-  
ელი სახსებით დააკმაყოფილა.

თუმცა უკეთოდ არ ვიცით, სად აღიზარდა, სად მისლო  
განათლება რუსთაველმა, მანიც იმის თხზულების მიხედვით  
შეგვიძლიან ვთქათ, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ დამწერმა  
იკოდა ბერძნული, სპარსული და ორაბული ენები, შესწავ-  
ლილი ჰქონდა სამღვთო წერილი და ფილოსოფია, საფუძვ-  
ლიანი მუოლნე იყო ქართული ენის და წინადროის მწერლო-  
ბისა.

შესაძლებელია, რომ სწავლა-განათლება შოთა რუსთა-  
ველმა დამთავრია საბერძნეთში, სადაც მეოთორმეტე საუკუნეში  
გზავნიდნენ ქართველ მოსწავლებს სამეცნიერო მიზნით. და-  
ვაკაცეც მეტული და გონებით ფართოდ გახსნილი შოთა, თამარ  
დედოფალის თანამშრომელი და თანამზიარე გახდა. ალტაცება  
და ერთგულება მეფის ადმინისტრის, პოეტში გაატარა, აღნიშნა თავის  
„ვეფხის ტყაოსნიში“.

„ვეფხის ტყაოსნი“ იმ გვარი თხზულება, რომელსაც  
სახელია ვუწოდებთ პოემას. იგი ლექსაც არის დაწერილი და  
შეიცავს თვევადასაევალს ორი გმირისას, ტარიელის და ნესტან-  
დარჯეანისას. ამ ორს პირს გვერდს უმშევენებენ ვეთანდილი და  
თინათინ, ფრიდონ და ასმათი. პოემის შინაარსი შემდეგია.

არაბეთში ცხოვრობს მეფე როსტევანი, კეკიანი, მდიდარი  
და შოსამართლე კაცი. მას ჰყავს მხოლოდ ერთი ართი შეილი  
ლამაზი და მშევნიერი ქალი თინათინ. როცა მოხუცდა როს-  
ტევანი, მან განიზრახა, ვეზირთა თანხმობით, მეფედ გამოეც-  
ხადებინა თავისი ასული. თინათინს ტახტზე ასვლა დოდი  
ამბით იღლესასწაულეს. ქალის გამეფება მეტად გაეხარდა როს-



ტევანის გამოზღიულს, აეთანდილს, რომელსაც თინათინი უკრიანი უფრო უფრო ენატრებოდა. ახლა იმედი მიეცა ქალს უფრო ხშირად ენახვ და მის ცეკვით სურვილს მოვიკლავა, ოვით მეცემ აიყვანა თინათინი ტახტზე, ვეირგენი დაადგა და სამეფო სკოპტრი ხელში მისცა. არაბეთის დიდყაცობამ მიულოცა ქალს გამეცება და ქება შეისხეს. ვიმართა შესაფერი ნადიმი. შევნიერჩა თინათინმა შამის დარიგება გაისხენა და უბძანა, ვაეცა საჩუქრები დიდის და პატარისთვის. საერთო მხიარულებას დროს მეცე როსტრანი მოულოდნელად მოწყინა. ვეზირი სოკრატი და აეთანდილი სახსე კიქებით მიუახლოედნენ მეცეს და მუხლ მოზრევით მოახსენეს: „მეცევ პირი აღარ გიცინის იქნება იშიტომ, რომ თქვენში ისულმა მეტად ბევრი საშოგარი გასცა და თქვენი საჭურჭლე დასკალათ.“ მეცეს გაეცინა ამ ხუმრიბაზე და მიჩეზად დანალელიანებისა დაასახელო ის შწუხარება, რომ მოხუცების ეძმა არა ჰყავს ისეთი მემკვიდრე, რომელიც პევანდეს მას მშეილდოსნობაში და ბურთაობაში. აეთანდილმა გაუბედა მეცეს სანაბლეოდ გაჯიბრება ნადირობაში. მეორე დღეს ინადირეს და შერთლუკ აეთანდილმა მეცეზე ოცით მეტი ნადირი მოჰკლა. მეცეს იამა აეთანდილის გამარჯვება.

ნადირობის შემდეგ, როსტრევან მეცე და აეთანდილ წრდილ-ში დასახვენებლად ჩამოხდნენ. ამ დროს წყლის პირის შენიშვნეს ერთი შევნიერი ვაეკაცი, „ვეცხის ტყავს“ წამოსხმული და ცხარი ცრემლით მტრილი. მეცემ მოისურვა ამბის გაგება და უბრძანა მონებს „მტიჩალი მოყმი“ მოყვანა. ვაეკაცით მოციქულს პასუხი არ გასცა და როცა თორჩეტი კაცი დაეცეია ძალით მეცესთან წასაყვანად, „ვეცხის ტყაოსანმა“ მათრახის გადაკერით სუსკველითი დახოცა.

ამაზე განჩინებული მეცე და აეთანდილი დაედევნენ უცხო ვაეკაცს; ამან შემოჰკრი თავის შევს ცხენს და გაქრა. მეცე დალონებული დაბრუნდა სასახლეში.

თინათინმა შეიტყო მეცეის შეწუხება და ურჩია კაცების გაგზავნა იმ საოცარი ვაეკაცის მოსაძეპნად. ერთს წელიწადს



ეძებეს „ვეფხის ტყაოსანი“, მაგრამ კვალი ვერსად მიიკუთხმოს მოსტრების როსტრევანი ახლა-კი დარწმუნდა, რომ მოქვენება იყოთ და ჩვეულებრივი ნაღობობა გამოირთა. მაგრამ თანათინმა მოსურ-ტვა გამოიციების გაფრაქტიზა. ამან მიანდო თავის მოტრფიალე აფთანდილს, წისულიყო „ვეფხის ტყაოსანის“ ამბის გასაგებად; საძებრძლ სამი წლის ვადა დაუდო და ხიყვარულის ფიცი მისცა. ავთანდილი გამოეთხოვა შეფეს და წავიდა ჯერ თავის მამულში, სადაც თანაზრდილს ერთგულს შერმადინს ჩააბარა ყმათა პატრონობა-ბევრი იარა აფთანდილმა, გასცილდა არა-ბევრს, მრავალი გაჭირვება გამოიირა, მაგრამ „ვეფხის ტყაოსანის“ შესახებ ვერა შეიტყო-რა. ერთს საღამოს წყლის პირის ჩამოხსრა. მოაგონდა, რომ ორი თვეედა დარჩენდა ვადამდის; დიდად სწუხდა, რომ თუ დროშე არ დაპრუნდებოდა, მკვდარი ყვონებოდათ და გამოიტირებდნენ. სიარულით დაქანული ერთს ქედზე შეჩერდა. იმ დროს, პოლექს ცეცხლშე წვადს იწვავდა სიმშილის მოსავლავად, შენიშნა ექვსი ცხენოსანი, ამათში ერთი დაკოდილი იყო. ავთანდილს ავაზაკები ყვონა და შეილდისარი მოიმართა. გამოელაპარაკა რა, შეიტყო, რომ ვიღაც მშენიერბა ვაემა, ვეფხის ტყავ წამოსხმულმა, მათრიახით თავი ვაუჩენა უკუროს ძმის, როცა იმ ხაუცხოვო ვადაც დაედევნენ დასაჭერად.

ავთანდილმა იცნო, ვისაც დაეძებდა. ფიცხლავ გამოეთხოვა და გამოუდგა „ვეფხის ტყაოსანის“ მიწყვა ფარულად უკან კლდეში გამოქვაბულს ბინამდის. შორიდან შენიშნა, რომ „ვეფხის ტყაოსანის“ ქვაბილან გამოეგება შევად შემოსილი ქალი. ვაეტ და ქალი ერთმანეთს მოეხვივნენ ტირილითა და ძაბილითა.

ამ ვაეკაცის სახელი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იყო ტარიელ, ქალისა ასმათ. ორიენი ქვებში შევიდნენ. ავთან-დილი შორი ახლოდან უყურებდა და მოელი ღამე გარეთ გაატარა. გათენებისას ქალმა შეუკაზმა ტარიელს ცეცი და გაისტუმრა. რაყი ასმათი მარტო დარჩა, ავთანდილშა გასწია

მისკენ განიზრახა ძალით ეთმევენა ქალისთვის ტარიელის ამბავი, მაგრამ ამაოდ. ხმა გაემენდოლს ქალს სიკედილისაც არ შეეშინდა. მერე ტარიელით სთხოვა „შებრალება „მიჯნუ- რისა““. ასმათი ამღა-კი მოლბა, შეიწყალა აფანდილი, რო- გორც მიჯნური, რაკი ტარიელიც მიჯნური იყო. ქალმა უ- ჩია ქვაბში დამილულიყო და დამპირდა ტარიელთან გაცნო- ბას, როცა იგი დაბრუნდებოდა. მოისმა ცხენის ფეხის ხმა. ტარიელი გამოჩნდა. ასმათმა მწყვადი შეუწვა, მაგრამ იმან დაუდეჭავი ლუკა პირიდან გადმოავდო. მერე, როცა კოტა მიეგინა, შეკრთა, წამოვარდა და დაიწყო ტირილი. ასმათმა ისარგებლა შემთხვევით და უჩინა, მეგობარი. ვინმე ეპოვა მარტოობის გასაქრეცხებლად. ტარიელმა შექფიცა, ძმისავით შევიყვარებ, თუ-კი სამეცნიერო კაცი გამოჩნდებათ. ასმათმა მაშინ გამოიყვანა აფანდილი, რომელმაც უამბო თავის თავ- გადასავალი. პისუხად ტარიელმა გააცნა თავის ამბავი.

ინდოეთი შეიც სამეფოდ იყო გაუკაფილი. ექვსი სამეფო ექირა ფარსადანს და მეშვიდე სარიდანს, ტარიელის მამას. სარიდანმა აჩინა თავისი ნაწილიც ფარსადანისთვის გადეცა; სამაგიეროდ მოელი ინდოეთის ამირბარიდ (ჯარის უფროსად) დაინიშნა. ფარსადანი უშეილო იყო. ამიტომ ტარიელი შეი- ლად თყვენა და მეუური იღზრდა მისცა. როცა ტარიელი გახდა ხუთი წლისა, ფარსადანს ეყოლა ქალი ნესტან დარე- ჯანი. ტარიელი და ნესტან დარეჯანი ჯერ ერთად ისრდე- ბოდნენ; ქალი რაკი შეიც წლისა გახდა, ტარიელი მამას დაუბრუნეს; ნესტან-და ჩეჯანის იღზრდა-კი თავს იდეა მეფის დამ, დავარმა; გამდლად დაუნიშნეს ასმათი.

თუ შეტის წლისა შეიქმნა ტარიელი და მამაც მოუკვ- და. ამირბარობა ფარსადანმა ამას ჩააბარა. თუმცა ტარიელი დაახლოებული პირი იყო მეფისა, მაგრამ ნესტარ-დარეჯანს კერ ხედავდა, რადგან ქალს ცალკე კაშკი აუშენეს ქვის კე- დლით შემოზღუდული და ლამაზი ბალით შემკული. ერთ- ხელ მეუც და ტარიელი ნადირობიდან დაბრუნდნენ. ფარსა-

ଦାନମା ମନୋଲୁହର୍ଦ୍ଵା ଜୀବନିର ନାଥଙ୍କା. ମେଘ୍ୟମ ଜୀବନିର ଫଳର ଶୁଣିବୁ  
ଜାନିବୁ ଗାନ୍ଧିର ଓ ରାଜନୀଯଙ୍କର ଅନ୍ତରିମ ମନୀକା କିମ୍ବା ମଜ୍ଜନମି  
ନ୍ୟସ୍ତାନ-ଦାର୍ଶକଙ୍କାନ୍ତିର. ଜୀବନିର ବ୍ୟାକ୍ତିଗତିର ଗୁଣର ମନୀକାପା ଓ  
ବ୍ୟାକ୍ତିଗତିର ଉତ୍ସବଙ୍କାନ୍ତିର. ଜୀବନିର ମନୋଲୁହର୍ଦ୍ଵା ଜୀବନିର, ମନୋଲୁହର୍ଦ୍ଵା



ଏହିର ବ୍ୟାକ୍ତିଗତିର ଉତ୍ସବଙ୍କାନ୍ତିର ଗୁଣର ମନୋଲୁହର୍ଦ୍ଵା ଜୀବନିର ନାଥଙ୍କା. ଏହିର ଗୁଣର ନାଥଙ୍କା କିମ୍ବା  
କାପ୍ରାଦ ରାଜନୀଯଙ୍କର ଓ ନ୍ୟସ୍ତାନ-ଦାର୍ଶକଙ୍କାନ୍ତିର ମନୀକା. ଜାନିବାରତା  
ମିଶ୍ର-ମିଶ୍ରଙ୍କା. ନାଥଙ୍କା ଦର୍ଶକ ନ୍ୟସ୍ତାନମା ପ୍ରାଣ-ଜୀବନମିଶ୍ରଙ୍କାନ୍ତିର  
ମନୋଲୁହର୍ଦ୍ଵା ଓ ସତକାଙ୍କା ସାହିତ୍ୟ ବିଦ୍ୟାକାନ୍ତିର. ରାଜନୀଯଙ୍କର ନାଥଙ୍କା  
ଓ ନାଥଙ୍କା ସାହିତ୍ୟକାନ୍ତିର ନାଥଙ୍କା ଓ ନାଥଙ୍କା ନାଥଙ୍କା ନାଥଙ୍କା. ଏହିର  
ନାଥଙ୍କା ନାଥଙ୍କା ନାଥଙ୍କା ନାଥଙ୍କା ନାଥଙ୍କା ନାଥଙ୍କା ନାଥଙ୍କା ନାଥଙ୍କା



შეუდგა. ნესტან-დარეჯანის დედმაში განიხიახა მისი გაოხოვები ხეარამშაპის ძეზე, ტარიელსაც გააცნეს ეს განწრახვა. შეწუხებულმა ტარიელმა წინააღმდეგი ვერა სოქეა-რა. მოკუჭულები ვაუგზავნეს ხვარამშაპის გამოეგზავნა შეილი სასიძოდ და ინდოეთის ტარის მემკვიდრეოდ. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ამ ამბის გამო დიდად შეწუხებულნი გახდნენ. ნესტან-დარეჯანმა ინახულა ტარიელი და მწარე საყვედლური უთხრა, რომ ფიცი გასტევა და დასომო მისი სხვაზე გაოხოვება. ტარიელი ნესტან-დარეჯანის ქრთვულების იმედით გამნენედა და გამოუტადა, არც შენ და არც ინდოეთის ტაბტა არავის დავუთმობო. ქალიც დაშვიდლა და ურჩია სასიძოს მოკველა.

მართლაც, როცა სასიძო მიუახლოვდა ფარსადანის ქალაქს, მოედანზე იტალის კარვები დაუდგეს, იქ ჩამოხტა ხეარამშაპის თავის ამაღით. ნესტან-დარეჯანმა კიდევ გაახსენა ტარიელს პირობა და ვაჟიც ლამით შეიპირა კარვები და უხალა სასიძოს თავი სვეტზე. ტარიელი მოახტა ცხენს და გაფრინდა. მდევრებიც ამოსწყვიტა და შეაგულ ქალაქში გამგრადა. მეფეს ძალიან ეწყინა ტარიელის საქციელი. ვაემა გამოატადა, რომ ნესტან-დარეჯანი კისაც უნდათ მისუნ ცოლად, მაგრამ ინდოეთს არავის დავუთმობ, ეიდრე ხმალი-მარტყით. ფარსადანმა შეიტყო, რომ ნესტან-დარეჯანს და ტარიელს ერთშანებით უუცარდათ და ნააულობდნენ ფარულად. თავის დას დავარს ამტუნებდა ქალის და ვერის დაახლოებაში. დავარში გაიგო რა ეს ამბავი, ნესტან-დარეჯანი საშინლად გალახა და თმით ათრია. მოიხმო ორი ზანგი, უბბანა ქალი კიდობანში ჩისვით და ზღვას მოეციო და თითონ-კი დანით თავი მოიკლა. ტარიელმა, ასმათმა და მონებმა დიდანის ეძებეს ნესტან-დარეჯანი, მაგრამ ვერსაც იპოვეს. ტარიელს მონები თოთქმის სუსველანი დაეხმუნენ და შერჩი ბოლოს მარტო ამბათი.

გულდაწყვეტილი ტარიელი, ქალის ძებნით მოქანცული, ერთხელ მიაღვა შეენიერს ბალს. ცოტა რომ შეისცენა, მოესმა

35350-0  
202001090143


զցանձունու գրածրունքի առաջետթու գուգու Տօնեարուլո  
շամունիցուա. Հյու մուսու ցրուցուլու պատ Շըհմագուն, Շըմլցը մըպը  
հուսկրցան դա մուցամցաւցու թանառութեղու Տամբուռ Ռածին տո-  
հատուն ցամենարուլ թնեն, դա մուսմա մոշնուրմա դա մըպը Շըհր  
պը « Յըշենու Ծպանսնու » մինչեւ դա ուսամոցնես. Թացհամ հիյահա  
կմշնցարցին ուղարկնես, հայու ցանցէս. Հոմի պցանձունու ցուցուտ  
Շըյրա Ծարուցուն դա լաքիուրճա լիյան դաձրունքին նյութան-




დარეჯანის საძებნელიდ. ავთანდილმა როსტევანს შუაშაველიდ  
ვეზირი მიუგზავნა და ითხოვა ნება ტარიელს მიშველებოდა.  
როსტევანმა თხოვნა არ შეიწყნარა და ავთანდილმა გაპარვა  
არჩია ფიცის გატეხას. ანდრიძი დასტოვა, რომელშიაც კვე-  
ლისგან შენდობას და კურთხევას თხოულობდა. თინათინმა-  
კი ნება დართო ტარიელთან გაბრუნებისა. ავთანდილის გაპა-  
რვამ როსტევან შეუვე შეტად შეაწუხა.

ა. ხახანაშვილი

(დასახული იქნება)





### ხალხური ლიმსები

აზნაური თავადსაო  
შორით აღლეցს სალამსაო,  
ჯიბეში არ გამოილეցს  
საწერსა და კალამსაო.

ვამ, შენ ჩემო შევო ხბო,  
სატიალო სოხნო!  
ვენახის ქრი ღია გაქცეს,  
შედი, ბალახი ძოვეო,  
აქცე, დაბეჭე მიჯნისომ,  
ნუ გადახვილ სხვისისომ,  
თუ გადახვილ სხვისისომ,  
თოფს დაკცემენ ხისასომ.

### რპინის მიმღები

(ხალხური)

ერთის კაცს ერთად ერთი შეიღლი ჰყავდა. უნდოდა, ხე-  
ლობა რამე ესწავლებინა და რიგიანი და სისარგებლო კაცი  
გამოეშარდა. როგორც ხელი მიუწვდებოდა, ისე მოიქცა. შეიღლი  
მშედელს მიაბარა შევირდად. ხეთის წლის განმავლობაში ხე-  
ლობა უნდა ესწავლებინა.



გავიდა დადებული ვადა, შეიღო დალოცვილი სტატუსი მომავალი  
იყო და მამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, პედ-ზეი და  
მარტოხელი კაცი ცას ეწოდა. ოქროს მარჯვენიანი ვაკაცი  
უპრუნდებოდა სახლში. გაქირვებისა აღარ ეფიქრებოდა.

აյი მშიარულიდ იყო!

რაც კი გაიჩნდა სახლში, ირ დაიშურა, გაყიდა და შეიღო  
საკუთარი სამჭედლო მოუწყო.

თითონაც მზად იყო იესრულებინა ცველაფერი, რასაც  
ოსტატი შეიღო უბრძანებდა.

მართლაც, შეიღო სთხოვა,—საბერველს დაუბერეო. მა-  
მამაც დაუწყო საბერველს ბერე. შეიღო კი აიღო ერთი ნა-  
კერი რეინა და ჩადო ქურაში. გვარვერდება კი რეინა, რო-  
გორც ნალვერდალი; გამოიღებს ცეცხლიდან, სცემს ჩაქუჩს,  
ატრიალებს და სცემს, რაც ძალი და ღონე აქვს. გრდემლს  
წურიალი გააქვს, მარტუხი მომხილებით ტრიალებს ოსტატის  
ხელში.

გავიდა რამდენიმე დღე, იმ რეინის ნაკერს საცოდავად  
სჩეჩქვავს და უტყაპონებს ჩერი ოსტატი.

არც წალდია, არც ცული, არც ბარი და არც სახნის-  
საკეცეთი.

მოეწყინა მამის, დაიღალა და ჰეითხა შეიღო:

— შეიღო, რა უნდა გააკეთო მაგისი?

— შენ დაუბერე, მამი! მალე გაიგებ, რაც გამოვა! მთელი  
ქვეყანა გაოცდება! უპასუხა შეიღომა.

გავიდა კიდევ ამდენიმე დღე; ისევ ისეთს ყოფაშია რეი-  
ნაც, შეიღოც და საბრალო მამაც.

მაგრამ მამაშ მოთბინება დაკარგა, აღარ იცის, რა ქნას!  
თუ ოსტატია, რატომ იქამდის ვერაფერი გააკეთო,— ფიქ-  
რობს თავისთვის.

— შეიღო, გამაგებინე მაინც, რას იკეთებ; თორემ, იგრ  
ორი კვირაა, მაგას შევყურებ და ვერ გავიგე, რა იარაღი  
იქნებაო...

— ცოტაც, მამი, ცოტაც მომიცადე; შენ დაუბერე...

— მაინც რა გამოვა?



— ଏ ଏ କୁରିଦିଲେଣି! ଅମ୍ବାଦ ହୃଦୟରେ ଲୁହାରୁହିମା-ଶ୍ଵେତମା,  
ମହିଳା ହୃଦୟ ମହିଲାରେ, କିମ୍ବା ଗାୟରେ.

— ଶ୍ଵେତମା, ଗ୍ରବ୍ରାତ୍ସାହ୍ୟ, କୁରିଦିଲେଣି ନୁହନେ ଘାୟତ୍ରେ,  
ମହିଲା ଘାୟତ୍ରେ, ଲାଭ ମେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ, ଶ୍ରେଣ୍ମା ମନ୍ଦିରରେ  
ଦା ମନ୍ଦିରଶ୍ଵେତନ୍ରୋତ୍ସାହ୍ୟ—ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ମହିଲା.  
ଡ. ନାନ୍ଦୁପରିହାଶ୍ଵେତମା.

## ଧାରା ଓ ଧାରା ଧାରା

(ରାଜିମିଶ୍ରକୁମାର ମନ୍ଦିର ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ମହିଲା)

ଶ୍ଵେତମିଶ୍ରକୁମାର 15 ବୀରିବେ-କାପୁ, ଧାରାଧାରା ଶ୍ରେଷ୍ଠ  
କାମେରୁ ଦା ପୁରୁଷମାନା.—ଗାଥିମାନାର୍ଥେ ଦା ରାମଦେବନିତ୍ଯ ଗାୟତ୍ରେ ଫାଟି-  
ନାଥନାମ, ମିଶ୍ରନି ପ୍ରସରାମ ତାତ୍ତ୍ଵବିନାନମା ଧାରାଧାରା ଧାରାଧାରା ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ  
ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ, ଗାଥିମାନାର୍ଥେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ, ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ମହିଲା ଦା କାମି. ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ  
ଅଭିଭାବା.


ତାରି କିମା ପ୍ରମାଣଦା ହେଉ ହୀନେ ରୂପିନୀରେ ତାନାମିଶ୍ରକୁମାରାମ, ଲ୍ରାଙ୍କନ  
ରୂପ ହୀନେ ପ୍ରମାଣଦା ପ୍ରମାଣଦା ପ୍ରମାଣଦା ପ୍ରମାଣଦା ପ୍ରମାଣଦା ପ୍ରମାଣଦା  
ତାରି ତାତ୍ତ୍ଵବିନାନମା ପ୍ରମାଣଦା: ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ  
ଅଭିଭାବା ପ୍ରମାଣଦା. ରାମଦେବନିତ୍ଯ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ମହିଲା ଦା କାମି.

## ଧାରା ଧାରା ଧାରା

ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ—ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ, ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ—ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ.

ରାମ ତଥାମ ତାନାମିଶ୍ରକୁମାର ପ୍ରମାଣଦା, ନାମ ତଥାମିଶ୍ରକୁମାର ପ୍ରମାଣଦା.

## ଧାରା ଧାରା



ଅଭିଭାବା ପ୍ରମାଣଦା ପ୍ରମାଣଦା ପ୍ରମାଣଦା ପ୍ରମାଣଦା ପ୍ରମାଣଦା:

ଅମ୍ବାଦ କାମି: 23, 4, 8.

ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ କାମି: ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ  
ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ.

ରୂପଦାକୁମାର ମ. ପ. ଅଧ୍ୟତ୍ମିକା. ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନେ.

## გიგლიობრჩიაზია საგავაზვო წიგნებისა

**ხტუნია-ციცვუნია.** თარგმანი აჭ. გრძელდა 25 კ. გამოცემა ა. რასტომაშვილისა.

„ვენ საყმაწევილო მწერლობაში „ხტუნია-ციცვუნია“ პ-ნი გამართელისა ერთ საუკეთესო წიგნაჟად უნდა ჩაითვალოს ძალიან გასიღები ენით აეტორი მოუთხრობს პატარა მეითხველებს ციცვის ცხოვრების. გზა და გზა ბუს, კოდალის, კუტ-დლლის და თაგვის ცხოვრებისაც ეხება. წიგნში სხვათა შორის გამოხატულია პატარა ქალის გულეკოლობა, რომელ მაც ძმის ნამალევად „ხტუნია-ციცვუნიას“ ვალის კარი გა-ჩდო და გაათვისუფლა საბრალო ტუვე. წიგნი დასურათებულია შედარებით მრავალი სურათით (29 გვერდზე 17 სურათია) და სიმოვნებით წიგნითხვეს მეითხველი და შეკასაც შეიძენს.

კ. ჭავჭავაძე.

# მიმღება ხელის მოჭერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდე.

საქართველოს სურათებისანი ქურნალი

## ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ერტნალი „ნაკადული“  
ლი „მცირე წლოვანთაფის 12 წლიურ ერტნალი „ნაკადული“  
მომწერლისათვის.

პრემია: 1-ლი, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სუ-  
რათით“. 2-რე, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქტორში, გოლოვინის პროსპ., ზუბალი-  
ვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშებათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამარტინაცია საზოგადოების წიგნის მაღა-  
ზიაში, სახახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი  
ერტნალისა დამატებით, ქავე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სისხლის ხელის-მომწერ ..

ვისაც ერტნალის ნოტრები დაიკლდება, მიმართონ აგენტს ან  
რედაქტორს.

ვინც შესალის გამოგზავნის დასაბეჭდოთ ვთხოვთ გარკვევით  
და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.